საჯარო სამართლის იურიდიული პირი

**საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი**

**საქპატენტი**

ქ. მცხეთა "25" 03 2013 წ.

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 346/03

**სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე**

2013 წლის 18 მარტის N დმ-951550 განცხადებით კომპანიის „ბაიერსდორფ აგ" (მის: უნაშტრასე 48, D-20253 ჰამბურგი, გერმანია) წარმომადგენელმა გიორგი თაქთაქიშვილმა მოითხოვა სასაქონლო ნიშანზე „NIVEA" (რეგ. N 951550) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაცია. სასაქონლო ნიშანი „NIVEA" (რეგ. N 951550) საქართველოში რეგისტრირებულია 16.11.2007 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 16.11.2017 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია მე-3, მე-5, 24-ე, 25-ე, 27-ე, 28-ე, 29-ე, 30-ე, 35-ე, 38-ე, 41-ე, 43-ე და 44-ე კლასების საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" დებულების დამტკიცების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე

## ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სასაქონლო ნიშანზე „NIVEA" (რეგ. N 951550) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში ორი წლის ვადით მე-3, მე-5, 24-ე, 25-ე, 27-ე, 28-ე, 29-ე, 30-ე კლასების საქონლის ჩამონათვალის მიმართ (მოთხოვნის რეგისტრაციის N 187, მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 25.03.2013).

2. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში კანონით დადგენილი წესით სამი თვის ვადაში ან მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: მცხეთა, სამხედროს N 17) ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარე ირაკლი ღვალაძე

ეგზავნება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს; კომპანიის „ბაიერსდორფ აგ" წარმომადგენელს გიორგი თაქთაქიშვილს (მის: ლუბლიანას ქ. 11, II სადარბაზო, ოფისი 38, თბილისი).

ასლი დედანთან სწორია
25 03 20 წ.
ხელმოწერა

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“

ინფორმაცია სასაქონლო ნიშნის შესახებ:

ნიშანი: NIVEA

რეგისტრაციის N: 951550

მფლობელი: **Beiersdorf AG**

მისამართი: **Unnastrasse 48, 20253 Hamburg, DE**

კლასები: 3 - Bleaching preparations and other substances for laundry use; cleaning, polishing, scouring and abrasive preparations; soaps; perfumery, essential oils, cosmetics, hair lotions; dentifrices.

5 - Pharmaceutical and veterinary preparations; dietetic and nutritional preparations and substances for medical purposes; dietetic food for medical purposes; dietetic food for health care, in particular on the basis of vitamins, minerals, trace elements, either separately or in combination; dietetic drinks for medical purposes; food for babies; nutritional additives, namely on the basis of amino acids, minerals, trace elements, either separately or in combination; nutritional additives for medical purposes (also in pill form); enzymes for medical purposes (also in pill form); albuminous preparations for medical purposes; vitamin preparations; trace elements preparations.

24 - Textiles and textile goods, not included in other classes; bed and table covers.

25 - Clothing, footwear, headgear.

27 - Carpets, rugs, mats and matting, linoleum and other materials for covering existing floors; wall hangings (non-textile).